

შპს „მილი“

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

შპს მილი

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2
სრული შემოსავლის ანგარიშგება	3
საკუთარი კაპიტალის ანგარიშგება	4
განმარტებითი შენიშვნები	5
1.ზოგადი ინფორმაცია	5
2.მომზადების საფუძვლები	5
3.მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	5
4.სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები	6
5. ამონაგები	9
6.პროდუქციის თვითღირებულება	9
7.ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები	9
8.სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10
9.სასაქონლო მატერიალური მარაგები	10
10.ძირითადი საშუალებები	11
11.ფული და ფულის ექვივალენტები	11
12.სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12
13.წმინდა შემოსულობა/დანაკარგი სავალუტო	12
14.გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან	13
15.მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ	13
16.ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	13

შპს მილი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2023 წლის მდგომარეობით

შენიშვნა	2023 წ	2022 წ
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	650,053	699,854
სულ გრძელვადიანი აქტივები	650,053	699,854
მიმდინარე აქტივები		
სასაქონლო მატერიალური მარაგები	161,983	237,361
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	330,241	777,802
ფული და ფულის ექვივალენტები	14,191	17,749
წინასწარ გაწეული ხარჯები	5,618	0
დარიცხული მოთხოვნები	14,612	0
სულ მიმდინარე აქტივები	526,645	1,032,912
სულ აქტივები	1,176,698	1,732,766
კაპიტალი და ვალდებულებები		
საწესდებო კაპიტალი	900	900
გაუნაწილებელი მოგება	179,005	332,695
სულ კაპიტალი	179,905	333,595
გრძელვადიანი ვალდებულებები		
გრძელვადიანი სესხები	856,590	1,332,603
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	856,590	1,332,603
მიმდინარე ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	140,203	66,568
სულ მიმდინარე ვალდებულებები	140,203	66,568
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	1,176,698	1,732,766

შპს მილი
 მოგება ზარალი და სხვა სრული
 შემოსავლის ანგარიშგება
 2023 წლის დასრულებული წლისთვის
 (ლარში)

	2023 წ	2022 წ
შემოსავალი რეალიზაციიდან	1,525,910	2,468,209
შემოსავალი მომსახურებიდან		23,195
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(1,356,414)	(2,062,119)
საერთო მოგება/ზარალი	169,496	429,285
შრომის ანაზღაურების ხარჯი	(115,695)	(206,672)
ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები	(72,797)	(54,766)
ცვეთა და ამორტიზაცია	(34,601)	(23,368)
საოპერაციო მოგება/ზარალი	(53,597)	144,479
ფინანსური ხარჯი	(113,764)	(73,366)
ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან	(55,111)	(94,663)
ფინანსური შემოსავალი	21,843	24,509
შემოსავალი კურსთაშორის სხვაობიდან	46,939	272,346
წლის სრული შემოსავალი/ზარალი	(153,690)	273,305

შპს მილი

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
2023 წლის დასრულებული წლისთვის

საწესდებო კაპიტალი	900
მოგება 2022 წლისთვის	332,695
მიმდინარე პერიოდის ზარალი	(153,690)
მოგება 2023 წლის ბოლოსთვის	179,005
სულ კაპიტალი:	179,905

შპს მილი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს მილი დაფუძნდა 2015 წლის 17 ივნისს და დარეგისტრირდა როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ საიდენტიფიკაციო კოდით: 40014872. კომპანიას ყავს 100% -იანი წილის მფლობელი ივეტა დოდაშვილი, პირადი ნომრით: 01001025359. კომპანიის ძირითადი საქმიანობა მოიცავს საბითუმო და საცალო ვაჭრობას რკინა-კავეულის ნაწარმით, წყალსადენისა და გათბობის მოწყობილობებით. კომპანიაში საშუალოდ დასაქმებულთა რიცხვი შეადგენს 11 ადამიანს

კომპანიის იურიდიული მისამართია :საქართველო, ქ.თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, გლდანი, IV მ/რ კორპ.#105 ბ.# 50

2. მომზადების საფუძველები

ა) ანგარიშგების შესაბამისობა

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისთვის შესაბამისად (მსს, ფასს). ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანია იყენებს გარკვეულ მნიშვნელოვან სააღრიცხვო შეფასებებს, როგორც ამას მოითხოვს მსს, ასს. ფინანსური ანგარიშგების არეები, რომლისთვისაც ფინანსური ანგარიშგების პროცესში კომპანია იყენებს მნიშვნელოვან დაშვებებსა და შეფასებებს მოცემულია მე-3 შენიშვნაში. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდს წარმოადგენს კალენდარული წელი, რომელიც იწყება 1 იანვარს და სრულდება 31 დეკემბერს.

ბ) ფუნქციონირების უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელს სურვილი აქვს განავითარონ კომპანიის საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისთვის.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს საწარმოს ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

& ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

4. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ქვემოთ წარმოდგენილია სააღრიცხვო პოლიტიკის ის ძირითადი პრინციპები, რომლებიც კომპანიამ გამოიყენა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის. კომპანიის ფინანსური ანგარიშგების ყველა ელემენტის საზომ ვალუტას წარმოადგენს ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ეკონომიკურ გარემოში, სადაც ეს კომპანია ახორციელებს საქმიანობას. კომპანიის ფუნქციონალური ვალუტაა ქართული ლარი. კომპანია ფინანსური ანგარიშგებას წარადგენს ქართულ ლარში. უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისთვის გამოყენებულია საქართველოს ეროვნული ბანკის გაცვლითი კურსები. გაცვლითი კურსები 2023 წლის 31 დეკემბრისთვის

აშშ დოლარი	ევრო
2,6894	2,9753

ფულადი სახსრები მოიცავს სალაროში ნაღდ ფულს და რეზიდენტ ბანკში არსებულ ფულის ნაშთს,

ხარჯების აღიარება

კომპანია გასწევს ხარჯებს საქმის წარმოებაზე თავისი საოპერაციო საქმიანობის პროცესში, ასევე აქვს სხვა ხარჯები. ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში. თუ წარმოიშობა შემცირდება მომავალი ეკონომიკური სარგებლისა, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯების აღიარება ხდება მოგების და ზარალის ანგარიშგებაში, გაწეული ხარჯების და სემოსავლებს შორის უშუალო შეპირისპირების საფუძველზე, შემოსავლების კონკრეტული მუხლების მიხედვით. თუ ეკონომიკური სარგებლის წარმოშობა მოსალოდნელია რამდენიმე საანგარიშო პერიოდის მანძილზე და კავშირი შემოსავალთან შეიძლება მოიძებნოს მთლიანად ან ნაწილობრივ, მაშინ მოგების და ზარალის ანგარიშგებაში ხარჯების აღიარება მოხდება რაციონალური გადანაწილების მეთოდით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ბალანსში აისახება ისტორიულ ღირებულებას მინუს დაგროვილი ცვეთის თანხა. ისტორიული ღირებულება მოიცავს აქტივის შეძენასთან დაკავშირებულ ყველა პირდაპირ დანახარჯს.

ძირითადი საშუალებების შეძენის შემდგომი დანახარჯები უნდა დაემატოს ამ აქტივის ღირებულებას, ან აღიარდეს ცალკე აქტივად. თუ, მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს, და საწარმოსთვის შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება.

აქტივის ცვეთის თანხა უნდა განაწილდეს სისტემატურ საფუძველზე, მათი სასარგებლო ვადის განმავლობაში შემდეგნაირად:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა(წელი)
შენობა ნაგებობები	20
მანქანა დანადგარები	5
ოფისის არჭურვილობა	5-10
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5-10
სხვა	4-5

აქტივები და ვალდებულებები

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მოკლევადიანად და გრძელვადიანად კლასიფიკაციი საფუძველზე. აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში.

- ფლობის ძირითადი მიზანია წარმოება/რეალიზაცია

- მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ან აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ექვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადისაა.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში

- დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ან ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადებით

ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია გრძელვადიანის კატეგორიას მიაკუთვნებს საგადასახადო აქტივები

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახდო კოდექსით განაპირობებს გადასახდის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება, აღიარდება აქტივად.

5. ამონაგები

ამონაგები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023 წ	2022 წ
ამონაგები პროდუქციის რეალიზაციიდან	1,525,910	2,468,209
ამონაგები სატრანსპორტო მომსახურებიდან	0	23,195
სულ:	1,525,910	2,491,404

6. პროდუქციის თვითღირებულება

პროდუქციის თვითღირებულება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023 წ	2022 წ
ნედლეული და მასალები	(1,173,439)	(1,804,295)
პირდაპირი ხელფასი	(161,463)	(201,724)
სხვა ზედნადები ხარჯები	(21,512)	(56,100)
სულ:	(1,356,414)	(2,062,119)

7. ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები

ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023 წ	2022 წ
საპენსიო შენატანის ხარჯი	(8,133)	(3,579)
ელექტროენერგიის ხარჯი	(650)	0
ბუნებრივი აირის ხარჯი	(44)	(1,109)
წყლის ხარჯი	(2,298)	(1,879)
ინტერნეტის ხარჯი	(888)	(1,146)
დასუფთავების ხარჯი	0	0
სატრანსპორტო ხარჯი	(37,482)	(23,368)
დაზღვევის ხარჯი	0	0
საბანკო ხარჯი	(1,786)	(3,602)
კომპიუტერის ხარჯი	0	(2,518)

საკონსულტაციო ხარჯი	(6,804)	(9,139)
რემონტის ხარჯი	0	(2,729)
შემოწირულობის ხარჯი	0	(1,485)
საღარი აპარატის მომსახურების ხარჯი	(102)	(102)
ცვეთა	(34,601)	(23,368)
სხვა	(21,414)	(4,110)
სულ:	(107,398)	(78134)

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023 წ	2022 წ
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებდან	56,914	280,260
მოთხოვნები გაცემულ სესხებზე	140,603	352,265
მოწოდებლებზე გადახდილი ავანსები	118,112	130,664
მისაღები პროცენტები	14,612	14,612
სულ:	330,241	777,802

9. სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023 წ	2022 წ
საქონელი	30,953	39,871
მასალა და ნედლეული	80,908	135,616
მზა პროდუქცია	50,122	61,874
სულ:	161,983	237,361

10. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება

დასახელება	მიწის ნაკვეთები	დაუმთავრებელი მშენებლობა	შენობა ნაგებობები	მანქანა დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტ.	სატრანსპორტო საშუალება	სულ
2022 წ. 31 დეკემბერი	102,000	132,185	263,223	188,025	544	469	13,408	699,854
შემოსვლა								
გასვლა			5762					5,762
ნაშთი 31.12.2023წ	102,000	132,185	251,371	152,862	304	329	11,002	650,053

11. ფული და ფულის ექვივალენტი

ფული და ფულის ექვივალენტი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023 წ	2022 წ
ფული სალაროში	14,127	17,673
ფული საბანკო ანგარიშზე ეროვნულ ვალუტაში	22	22
ფული საბანკო ანგარიშზე უცხოურ ვალუტაში	42	54
სულ:	14,191	17,749

12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023 წ	2022 წ
სავაჭრო ვალდებულება	67,049	12,376
მიღებული ავანსები	4,144	2,373
გადასახდელი ხელფასები	21,608	2775
საპენსიო შენატანის ა/ანგარიში		
საპენსიოს შუალედური(ფ/პირის წილი)		
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	47,402	68,398
სულ:	140,203	85,922

13.წმინდა შემოსულობა/დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან:

	2023 წ	2022 წ
შემოსავლები კურსთაშორის სხვაობიდან	46,939	272,346
ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან	(55,111)	(97,307)
სულ:	(8,172)	175,039

14.გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

კომპანიას დაკავშირებული მხარეები არ ყავს, შესაბამისად წარმოდგენილი არ არის დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები და ტრანზაქციები.

15.მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ კომპანიაში მნიშვნელოვანი მოვლენა რომელიც გამჟღავნებას საჭიროებს არ მომხდარა.

16.ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება გამოშვებულია ხელმძღვანელობის მიერ და დამტკიცებულია 2024 წლის 1 ნოემბერს.